ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3839997

ნომერი: AR1574835

თარიღი : 02.02.2018

გაცემის თარიღი : 26.02.2018

გაცნობის თარიღი : 26.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N5ბ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ა.პოლიტკოვსკაია , N 5ბ , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 02

თებერვალს №AR1574835 განცხადებით მომართა ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ფუნქციური ზონის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ 2011 წლის 15 აგვისტოს ქ. თბილისში, ვაკე - საბურთალოს რაიონში, ჯიქიას ქ. №5-ში (ნაკვ. №6/58) არსებული შენობა - ნაგებობის რეკონსტრუქციის მიზნით დამტკიცდა №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში არ არის დაფიქსირებული საზოგადეობრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) და მისი პარამეტრები, რომელიც ვრცელდება საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.05.006.116).
ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ 2009 წლის 05 ივნისის N 6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც 2009 წლიდან - 2014 წლის ჩათვლით, განსაზღვრავდა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს, აგრეთვე განსახლების ტერიტორიულ საკითხებს და მოქმედებდა თბილისის ტერიტორიაზე. საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ,,დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის'' გრაფიკული ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.05.006.116) ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა - 1 (ს-1) და საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 გადაწყვეტილებაში არ ასახულა საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) პარამეტრები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: ,,მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების ფუნქციური ზონის'' ველში დაემატოს შემდეგი ჩანაწერები ,, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)'' ,, განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონა, მათ შორის კარკასი სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით'' ,,ბ) კოეფიციენტები: ბ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,7; ბ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) - 4,6; ბ.გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1; გ) შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, რეკომენდებულია არა უმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის.'' ,,შენიშვნა: დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი ''.
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 გადაწყვეტილებას დანართის სახით დაემატოს წინამდებარე ბრძანების თანდართული დანართი.
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 გადაწყვეტილებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა #7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.